



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2020 წლის 14 აგვისტოს
N 01-05-04/120 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 7 ივნისის
N 01-05-04/61 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები

International Relations

ფაკულტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

Faculty of Law and International Relations

პროგრამის ხელმძღვანელები

პროფესორი ქეთევან ჯიჯეიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

Doctor of International Relations

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (40 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში; სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, სამართალში ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში ან წარმოადგინოს უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სავარაუდო სადოქტორო ნაშრომის პროექტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კვლევის მიზანი, საკვლევი საკითხი და კვლევის მეთოდოლოგია. მათ ასევე უნდა გაიარონ გასაუბრება დარგობრივ საფაკულტეტო კომისიასთან, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს დეკანი.

ჩარიცხვის დროს მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Science/doctorantura.php>

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამა ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Orders/>

პირველი სემესტრი ითვალისწინებს სამ სავალდებულო სასწავლო კურსს (20 კრედიტი) და ერთ სასწავლო-არჩევით კურსს (10 კრედიტი); მეორე სემესტრი მოიცავს ერთი სასწავლო-სავალდებულო კურსს (10 კრედიტი).

მეორე და შემდგომი სემესტრები ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რომელშიც შედის: კვლევის პროექტის/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით. დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებ-გვერდზე https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ორიგინალური და სისტემური კვლევის წარმოებას საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემების შესახებ;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში;
- უზრუნველყოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიის მცოდნე სპეციალისტის მომზადება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები

- ახორციელებს უახლესი და აქტუალური ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ცოდნის საზღვრების გაფართოებასა და ახალი მეცნიერული იდეების გენერირებას, რომელიც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში.
- შეიმუშავებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს (საერთაშორისო ფორუმებსა და საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, პრიორიტეტებისა და თავისებურებების შესახებ ახდენს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რის შედეგადაც დამოუკიდებლად იღებს (კვლევას ან/და ინოვაციაში) კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას;
- შეიმუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს დარგის განვითარებისათვის;
- სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, აუდიტორიის თავისებურებებისა და სასწავლო მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს;
- მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობების თემატურ დისკუსიებში და ახდენს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენასა და

გადაცემას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის.

- ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემების შესახებ ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია სემინარი სამეცნიერო-თემატური სემინარი კონსულტაცია
- დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება
- დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები, რომელიც ასახულია სსაბამისი სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების სესწავლა, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები მოცემულია სტუ-ის ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf>

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi.pdf

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi.pdf

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მუშაობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო დაწესებულებების საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტრუქტურულ ერთეულებში/სამსახურებში, საელჩოებსა და საკონსულოებში, საერთაშორისო ურთიერთობებში მიმართულებით საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში; შეეძლებათ შეასრულონ საერთაშორისო ურთიერთობებში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით. სასწავლო დისციპლინების სილაბუსების ავტორები და დოქტორანტის ხელმძღვანელები არიან როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტები. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით: სასწავლო ინვენტარით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასებით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტი.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 6

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
			I წელი	II წელი	III წელი
			სემესტრი		

			I	II	III	IV	V	VI
	სავალდებულო კურსები							
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა სოციალურ მეცნიერებებში	არ აქვს	4					
2	თანამედროვე სწავლების მეთოდები	არ აქვს	6					
3	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	არ აქვს	10					
4	პროფესორის ასისტენტობა საერთაშორისო ურთიერთობებში	თანამედროვე სწავლების მეთოდები		10				
5	არჩევითი კურსები							
5.1	სამეცნიერო/კვლევითი პროექტი	არ აქვს	10					
5.2	თემატური სემინარი	არ აქვს						
			30	10	-			
სასწავლო კომპონენტი			40		-			
კვლევითი კომპონენტი			-		-			

პროგრამის სასწავლო გეგმა

	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	კონსულტაცია	სუპერვიზორული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დაძლივების მუშაობა
1	SOS28711G2-LSK	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა სოციალურ მეცნიერებებში	4/100	15	15	-	-	2	4	64
2	SOS28611G2-LSK	თანამედროვე სწავლების მეთოდები	6/150	30	30	-	-	2	2	86
3	SOS26411G2-LS	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	10/250	30	30	-	-	2	2	186
4	SOS26511G2-	პროფესორის ასისტენტობა	10/250	-	-	-	-	-	2	248

	LSP	საერთაშორისო ურთიერთობებში								
5.1	SOS25911G2-K	თემატური სემინარი	10/250	-	-	-	-	-	2	248
5.2	SOS25811G2-KR	სამეცნიერო/კვლევითი პროექტი	10/250	30	-	-	-	-	2	218

პროგრამის ხელმძღვანელები

ქეთევან ჯიჯეიშვილი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

მარიამ ჯიქია

ფაკულტეტის დეკანი

ირაკლი გაბისონია

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
12.08.2020 (ოქმი № 17)

მოდიფიცირებულია

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი გაბისონია